საბჭოთა დედინ შუაში, აბ გაიცვლებინ სხვაზედა.

ოდიში

1991
სამშაბათი
9
ივლისი
№61 (10474)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის რაიონგადთებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გპირდებით უკეთეს გაზეთს

ყველელი ჩვენგანი მოწმეა ამისა, თუ რარიგად გაიზარდა ამ ბოლო დროს ინტერესი პრესისადმი. და ამ გარემოებას აქვს თავისი კანონზომიერება. ბოლო წლებში ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ უჩვეულო აღმავლობა განიცადა. საზოგადოებამ გამოიღვიძა და ახლებურად დაიწყო გარშემო მიმდინარე მოვლენების შეფასება. ძილქუშიდან გამოსულ ადამიანებს უჩნდებათ სურვილი ძირფესვიანად გადახედონ ათეულ წლობით დამკვიდრებული საეკვო ღირებულებანი, რაც შეიძლება უმოკლეს დროში თავი დაიხსნან ავტორიტარული სტრუქტურებისაგან. და ამ ისტორიული გარდატეხის ჟამს თავის სიტყვას ამბობენ საინფორმაციო საშუალებები. მათ შორის რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა. იგი თანდათან იცვლის სახეს, იკრებს ახალ შემოქმედებით ძალებს, ამკვიდრებს დროის შესაფერის ახალ რუბრიკებს, თემატურ განყოფილებებს. წარსულს ჩაბარდა იდეოლოგიური მონოპოლია, საგაზეთო ამოცანებისადმი თვით მიზნური, დოგმატური მიდგომა. გაზეთი ხდება საზოგადოების ფართო ფენების ინტერესის გამომხატველი. მისთვის არ არსებობს აპრიორულად, წინასწარ შემუშავებული პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც შეზღუდავდა პუბლიკაციების თემატიკას, დაგიწროებდა ფუნქციას—დანიშნულებათა. არეალს და ა. შ. გაზეთი დღეს გაბედულად მისდევს თავისუფალი პრესის დემოკრატიულ პრინციპებს და ამ გზით თავის გარშემო იკრებს მკითხველებისა და კორესპონდენტების ძრავალრიცხოვან არმიას

მაგრამ ამჯერად პრესის ფურცლებზე ზოგადად საუბარს აღარ გავაგრძელებთ. უფრო ჩვენი „ოდიშის“ პრობლემებზე გვსურს ორიოდე სიტყვა ვუთხრათ მკითხველებს. ეს უკანასკნელი, რატომღაც ასე გვჯერა, რომ რედაქციის თანამშრომელთა მონდომებას და მცდელობას კარგად გრძნობს. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე იგი შეძლებისდაგვარად, თავისი მისიის სრული გაცნობიერებით ცდილობდა განახლების სამსახურში მდგარიყო. ასეა დღესაც. მართალია ბევრი რამ ისე არ გამოგვდის, როგორც ჩვენ გვსურს და მკითხველები მოითხოვენ, მაგრამ გაზეთის რადიკალურად გაუმჯობესების რეალურ გზებს კი ნამდვილად ვეძიებთ.

უფრო დავაკონკრეტებთ სათქმელს: გაზეთს მრავალმხრივ უჭირს. უნუგეშოა მისი პოლიგრაფიული გაფორმების ამჟამინდელი დონე. ნომრები აგერ უკვე მერამდენე თვეა ილუსტრაციების გარეშე გამოდის, არის სხვა ობიექტური სიძნელეებიც. ტექნიკური სახის ამდაგვარ ხარვეზებს, ჩვენდა სამწუხაროდ, გარკვეულწილად მოსდევს მკითხველის უკმაყოფილება, გაუცხოების გრძნობა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ რაღაც ილუზიები გაგვაჩნდეს გაზეთის იდეურ-თემატური მხარის თაობაზე. პირიქით საკმაოდ კრიტიკული თვალით ვაფასებთ საკუთარ მუშაობას. ამასთან ერთხელ კიდევ გვინდა მკითხველთა ყურადღება გავამახვილოთ იმ უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ გაზეთს მათი თანადგომის გარეშე არსებობა გაუჭირდება.

იწყება ყურნალ-გაზეთებზე ხელოწერა. ასეთ დროს ხაზგასმული სიმკვეთრით გამოჩნდება ხოლმე, ვინ არის გაზეთის ერთგული, თანმიმდევრული ქომაგი და ვინ კიდევ განზე მზირალი. ის კი არა და, ხმები გაისმის იმის თაობაზე, რომ აქა-იქ ქსელში ჩვენი „ოდიშის“ რეალიზაცია შენელდაო. არ გვინდა ამის დაჯერება, მაგრამ მკაცრ რეალობას თვალი უნდა ვუსწოროთ. ლომის წილი ამ უსიამო მოვლენის გამომწვევ მიზეზებში რედაქციის კოლექტივზე მოდის. ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ და საზოგადოებას უმოკლეს ხანებში ვპირდებით საქმის რადიკალურად შემობრუნებას უკეთესობისაკენ. მაგრამ მკითხველსაც სამართლიანად უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ ძნელ ვით არებაში გაზეთისათვის ზურგის შექცევა არ ეგების.

ჩვენი თხოვნაა საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ცალკეული მოქალაქეების ძიმართ: ამოუდექით მხარში მშობლიურ გაზეთს, შეგობრებო. ახლო მომავალში იგი ახალ შენობაში გადავა, მოეწყობა ოფსეტური ბეჭდვა. არსებითად ამაღლდება მისი როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მხარე. სიძიელეთა გადალახვის ამ გზაზე კი აუცილებელია თქვენი მხარდაჭერა.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც იქნება.

შეხვედრა უზენაესი საბჭოს დეპუტატთან

3 ივლისს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში შედგა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთან, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტთან ბატონ თამაზ ყორყოლიანთან.

ამომრჩევლებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ ტექნიკუმის გარშემო მდებარე ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეები, საწარმო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პრეფექტურისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

სიტყვით გამოვიდა ბატონი თ. ყორყოლიანი. მან თავის გამოსვლაში ისაუბრა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობებზე, ვაჭრობის სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებსა და მათი დაძლევის გზებზე. დეპუტატი შეეხო პრეფექტურისა და საკრებულოს სტრუქტურების საკითხს. ასევე ამომრჩევლებს გააცნო ის სიახლეები, რომლებიც ახლო მომავალშია გათვალისწინებული ჩვენი ქალაქისა და რაიონის წინსვლისათვის.

აზრი გამოთქვეს და ამომრჩეველთა სახელით საკითხები დააყენეს ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეებმა: ს. ჯინჯოლავამ, მ. ბუცხრიკიძემ, ე. მოსიძემ, ხ. პაპავამ, ნ. შონიამ, ბ. კიტიამ, ა. დარასელიამ, ღვინის ქარხნის დირექტორმა ფ. წყაროზიამ, პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორმა ვ. შონიამ და სხვებმა.

ფიქრები გზის გასაყართან

სკოლაში უკვე დაირეკა უკანასკნელი ზარი.

წამივით ჩაირბინა გამოსაშვებმა გამოცდებმაც. გაიყარნენ გზები, ფერთმეტი წელი რომ მაკავშირებდა თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან, მშობლიურ სკოლასთან. ბავშვობის წლებიდან სუფენირად შემრჩა გაცრეცილი ჩანთა, რვეულები, მრავალჯერ ხელშენავლები სასწავლო ნივთები, მოგონებები, მოგონებები...

ერთ წელიწადს ზამთარი უთოვლოდ მიიპარებოდა. თუმცა იმ კვიმატს თურმე... მესამე გაკვეთილი ის-ის იყო დაიწყო, უეცრად თეთრად მოფარფატე ფანტელები ნელ-წელა დაეშვნენ ჩვენს ფანჯრებს მიღმა. უნებლიედ დაირღვა კლასში გამეფებული სიმყუდროვე. ჩემდა გასაოცრად არც მასწავლებელი ცდილობდა ჩვენს დაწყნარებას... თურმე ისიც ჩვენსავით გაიტაცა ბუნების მომაჯადოებელმა სანახაობამ. ქანდაკებასავით იდგა და გაჰყურებდა ფანჯრებს. ეგრძნობდი, ტკბებოდა ამ სასწაულებრივი სილამაზით. უცებ, მშვიდი სახით შემობრუნდა და ღიმილით გვითხრა: განაგრძეთ ბავშვებო, განაგრძეთ ამ სურათით ტკბობა, მხოლოდ ფიქრი არ შეწყვიტოთ. შემდეგ დინჯად მიუბრუნდა დაფას და ლამაზად მიაწერა: „საკლასო ოთახის ფანჯრებს იქით“.

ჩვენთვის პირველი როდი იყო ასეთი წრთობა წერაში, თავისუფალ აზროვნებაში.

იდუმალი მოელვარება გვეუფლება ამ წუთებში. ბევრს ელის დედა-სამშობლო ჩვენგან. მე მინდა, მივეულოცო ჩემს თანატოლებს საშუალო სკოლის დამთავრება და ვუთხრა: ჩემო მეგობრებო! ჩვენ ერთი ოჯახი გვაქვს და მას საქართველო ქვია. დედაც ერთი გვყავს და მას დედასაქართველოს ეუწოდებთ. ჩვენი მსჯელიც იგია, გამკითხველიც, გული მას ეკუთვნის და სიცოცხლეც ჩვენი. ერთი გზა გვაქვს და ერთი მიზანი. ერთი სურვილითაა ნაკერი ჩვენი სამფეროვანი ეროვნული დროშაც.

უფრო მაღალი უნდა იყოს ჩვენი ოცნების ჭერი. წმინდა და აუმღვრეველი უნდა იყოს ენა ჩვენი ქართული, რომ საქართველო იყოს ძმათათვის სასურველი და გულგასახარი. ავი თვალისთვის კი მიუწვდომელი და მიუღწეველი. ყოველივე ამისთვის საჭიროა საუკეთესო თვისებები გამოვაქანდაკოთ საკუთარ თავში და ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ გაკვალულ გზაზე ვიაროთ...

თემურ თოლორაია,
ახალბასთუმნის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

იჯარული საამქროები

შრომის პროგრესული მეთოდები უცხო არაა ყრუთა საზოგადოების ზუგდიდის სასწავლო საწარმოო წამოწყების მშრომელოთვის. აქ იჯარული წესით ერთი წელია მუშაობენ სამკერვალო და საგალანტერიო საამქროები. პირველს საიჯარო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტიბუა ხელმძღვანელობს. მეორეს კი პაატა ჭეჟია უდგას სათავეში.

პროგრესული მეთოდი ყველას მოწონებას იმსახურებს. იჯარის ფანტიკის შედეგად 50 პროცენტით გაიზარდა მუშის საზღაური. ახლა თვეში თითოეული 300-350 მანეთს ღებულობს. მუშების ხელფასის გადიდებამ, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ განაპირობა შრომისნაყოფიერების ამაღლება, რაც წარმატების საწინდარია.

გავეცნოთ წამოწყებისა და მისი იჯარული საამქროების მაჩვენებლებს მიმდინარე წლის ექვსი თვის მონაცემებით.

წამოწყების კოლექტივმა 1 მილიონ 500 ათასი მანეთის ნაცვლად 1 მილიონ 700 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვა.

წინაა სამკერვალო იჯარული საამქრო. აქ 700 ათასი მანეთის მაგიერ გამოშვებულია 789 ათასი მანეთის პროდუქცია. საგალანტერიო საამქროს თანამშრომლებმა კი 480 ათასი მანეთის ნაცვლად 511 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი მიაწოდეს მომხმარებელს.

კოლექტივის წარმატებაში არის მოწინავე მუშების ომიკო ბერიშვილის, მამია გიგიბერიას, ლეილა ქანდარიას, მარგო შეროზიას, ნაზია ბულიას და სხვების წვლილი.

მოიჯარეებს უნდათ იმუშაონ მონდომებით, გამოუშვან რაც შეიძლება მეტი სახალხო მოხმარების საქონელი, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ მისი თვითღირებულება.

პ. აბსანძე.

მიხილაგთ პროგრამის პროექტს

სულიერი ძალების მაქსიმალური განვითარებისათვის

გაზეთ „ერში“ განხილვისათვის გამოქვეყნდა რესპუბლიკის საშუალო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროგრამის პროექტი. გულდასმით გავეცანი პროექტს და მსურს გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები.

მომავლის სკოლაში უსათუოდ უნდა გაბატონებული იყოს ქართული სული, კულტურა, რელიგია. ეს ბუნებრივი მოთხოვნა პროექტში კარგადაა ფორმირებული ილიას გამონათქვამით: „კაცობრობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ფასეულობათა გაცნობასა და შესწავლას ახდენდეს მშობლიური ქვეყნის გადასახედიდან, მისთვის ძვირფასი და ახლობელი გარემოს მასალებსა და მაგალითებზე, რომელთა შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს სულითა და ხორციოთ დაბადების დღიდანვე“.

აღნიშნული იდეა უნდა განხორციელდეს ახალ სასწავლო პროგრამებში და სახელმძღვანელოებში, რომლებიც გათვალისწინებული შემუშავდეს კონკურსის წესით.

პროგრამის პროექტში ძირითადია პედაგოგიური თანამშრომლობის იდეა, რომელიც ითვალისწინებს „მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთმხარდაჭერას, გულშემატკივრობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“. ახალ სკოლაში მასწავლებელი უნდა ახდენდეს მოსწავლის შემეცნებითი ძიებების ორგანიზებას, დაკვირვებებს, პრაქტიკულ ზეგავლენასა და თეორიულ განზოგადოებებს. სწორედ მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული სასწავლო მასალის ისეთი ფალაგება და მიწოდება, რათა მოსწავლე შემეცნებითი აქტივობის, პრობლემური სიტუაციის წინააღმდეგობის და მისი გადალახვის წინაშე აღმოაჩინოს.

როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს?

არ იქნება ცუდი, თუ მასწავლებელი ეცდება ასწავლოს მოსწავლეებს ის, თუ როგორ ეძიონ საჭირო ინფორმაცია, ან როგორ მიხვდნენ, რა ინფორმაციაა საჭირო. ამისათვის კი საჭიროა სპეციალური გაკვეთილები კი მიუძღვნათ ინფორმაციის მოპოვების უნარის გამომუშავებას.

პროექტში წინა პლანზეა წამოწეული მოსწავლის ძალთა—აზროვნება, ემოციები, პრაქტიკული მოქმედებანი, საკუთარი თვალსაზრისები, პოზიციები, მსჯელობები —შეფასებები.

ასევე მეტად სასარგებლოდ მიგვაჩნია სასწავლო პროცესის ისე წაყვანა, რომელიც ბავშვს აზრის გაცვლას, კოლექტიურ შრომას ასწავლის, წიგნის თარგმანთან მიიყვანს. სპეციალისტებთან დაიკავშირებს.

მასწავლებელმა თითოეული გაკვეთილი მსჯელობის საგნად უნდა გაიხადოს.

რა გააკეთოს ისეთი, რომ გაიტაცოს მოსწავლეები, გამოიწვიოს მათში „გამაცხოველებელი ინტერესი“, როგორ შეაყვაროს მათ საკუთარი თავი, როგორც ბედადგომა და ეს სიყვარული როგორ გადაანაცვლოს საგანზე, რომელსაც ასწავლის.

და ბოლოს მასწავლებელი უნდა იყოს ფსიქოლოგიის ზედმიწევნით კარგად მცოდნე. პროგრამაში ამ მიზნით ყურადღების გამახვილებას მოითხოვს ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის სიტყვები: „თვით არსი ცხოვრებისა კულტურული შემოქმედებაა, შემოქმედების პრინციპი კი ნებისყოფა. მაშასადამე, ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადების მიზანი ნებისყოფის განვითარებაში ხორციელდება“.

ამრიგად, ჩემი აზრით, პროგრამაში წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული მოზარდთა და ბავშვთა სულიერი ძალების მაქსიმუმის განვითარება მომავალი სკოლის როგორც პირველ, ისე მეორე საფეხურზე, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა მიერ მოზარდთა ასაკობრივი ფსიქოლოგიის კარგი ცოდნის აუცილებლობა და ადამიანურ ურთიერთობათა ხელოვნების დაუფლება. ეს კი საბოლოო ჯამში მაღალი ინტელექტის მქონე პედაგოგის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რაც დღეს ძალიან სჭირდება სკოლას.

ალექსანდრე ღუჩუკაია,
უფროსი მასწავლებელი.

წიგნი და მკითხველი

ნაშრომი ძველ კოლხეთზე

ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ყალიბდება მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო, რომელიც განსაკუთრებულ აღმავლობას მე-5 მე-4 საუკუნეებში აღწევს. მაგრამ მე-3 საუკუნის დასასრულიდან იგი თანდათანობით სუსტდება, ხოლო მე-2 საუკუნის დასას რულს მას იპყრობს პონტოს სახელმწიფოს (მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში) ძლევამოსილი მეფე მითრიდატე მე-6 ევპატორი, რომლის სამფლობელოს შემადგენლობაში კოლხეთი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა.

სწორეთ კოლხეთის ისტორიის ამ მონაკვეთს ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერთანამშრომლის თემურ თოდუას წიგნი „კოლხეთი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში“. (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1990. რუსულ ენაზე), რომელიც ავტორის მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგების შეჯამებაა.

ამ პრობლემისადმი მიძღვნილი პირველი სტატიები თ. თოდუამ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა. თუ კი პირველ ნაშრომებში ავტორი მხოლოდ საკითხებს აყენებდა კოლხეთისა და პონტოს სამეფოს ურთიერთობის ხასიათისა და თავისებურებათა შესახებ, წიგნში უკვე საფუძვლიანად არის შესწავლილი კოლხეთისა და პონტოს სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ფარნაკე მე-2-ის დროს, მითრიდატე მე-4 ევპატორის მიერ კოლხეთის ანექსიის დრო და პირობები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რეაგირება ამ აქციისადმი, კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა მითრიდატე მე-4 ევპატორის მიერ ბრძოლაში მისი ყრუნვის დროს, პოლემონიდების სამეფო და კოლხეთი და სხვა.

წიგნი ინტერესით იკითხება და განკუთვნილია რა.. .. .. სპეციალისტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრ ხათვის.

„წიგნის სამყარო“.

რევაზ ლაღიძის 70 წლისთავი

მელოდიის ჯადოქარი

კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეოდ

1993 წელს სრულდება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლის თავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა დიდ ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ბაქარ გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით.

საიუბილეო ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა მრავალტომეულის, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მონოგრაფიის, საიუბილეო ბუკლეტის, ბლაკატისა და ერთჯერადი გაზეთის გამოცემა, იუბილესათვის მზადების პერიოდში აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში განხორციელდება მწერლის სახლ-მუზეუმის შენებლობა, კეთილმოწყობა მისი ტერიტორია, ასევე მუზეუმში მოეწყობა ექსპოზიცია. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზია და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში გადაიღებენ სატელევიზიო ფილმს ჩვენი საამაყო მწერლის შესახებ.

სამშობლოზე მარად დაფიქრებული და მისი უმდიდრესი ისტორიის მემატიანის სახე აისახება საიუბილეო მედალზე.

რესპუბლიკის თეატრები საიუბილეო დღეებისათვის განახორციელებენ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების დადგმას.

საიუბილეო სხდომა გაიმართება მწერლის მშობლიურ რაიონში აბაშაში.

ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტ მშვენებასა და სიამაყეს მიუძღვნის საიუბილეო სხდომას საქართველოს მწერალთა კავშირი.

იუბილესათვის მზადების დღეებში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მასალები გამოქვეყნდება იუნესკოს ბეჭდურ ორგანოებში, ასევე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. გაიმართება ამ დღის აღსანიშნავი მასობრივი ღონისძიებები.

საიუბილეო დღეების გვირგვინი იქნება საიუბილეო საზეიმო დღესასწაული, რომელიც გაიმართება 1993 წლის 15 მაისს, თბილისში.

მდაბალ დავუხაროთ თავი დიდი მწერლის ხსოვნას, მუხლი მოვიყაროთ მისი სათაყვანო საქართველოს წინაშე. მადლობა ვუთხრათ მას კონსტანტინე გამსახურდიასათვის და გავიმეოროთ მწერლის სიტყვები: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა“...

საქინფორმი.

ლიძეა. შავი ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირსა და ცადაზიდულ მთებს შორის ბეჭდის თვალივით ჩასმულ ამ კოპწია სოფელს გააჩნდა რაღაცნაირი იდუმალი ძალა, რომელიც ანდამატივით იზიდავდა თბილისის ინტელიგენციის ელიტას. ვის არ ნახავდით აქ 60-იან წლებში. განსაკუთრებით აგვისტოს თვეს ჰქონდა ის ენით უთქმელი ნექტარი, რასაც ასე ძალუმად ეწაფებოდნენ მწერლობისა და ხელოვნების რჩეულნი. იმ წლებში აქ არაერთგზის შევხვედრივარ ერის უნიჭიერეს კომპოზიტორს რევაზ ლაღიძეს თავის სულიერ ძმებთან ერთად.

მე, მორიდებულ ყმაწვილკაცს, ხანდისხან მეძლეოდა ბედნიერი შემთხვევა მეტრიალა მათ სიახლოვეს, მეხილა ისინი „მსხვილი პლანით“, უშუალო ადამიანურ გარემოცვაში ბუნების სტიქიასთან პირისპირ. ყოველ მათგანს თავისი ჰობი ჰქონდა. ბატონი რევაზ ლაღიძის გატაცება თევზის ჭერა გახლდათ. ხან ზღვის სიღრმეში შეიჭრებოდა, ხან კიდევ მდინარე ბზიფის ხეობას აუყვებოდა ანკესით ხელში. ამდაგვარ ოდისეაში მას მუდმ თან ახლდნენ მეთევზეობაში ხელგაწაფული მეგობრები, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე თბილისელი მოგარაკენი.

არასოდეს არ გამინელდება საოცარი შთაბეჭდილებები, აღძრულნი ამ დიდი კომპოზიტორის გულშიჩამწვდომი საუბრებიდან, რომელსაც იგი მართავდა პირდაპირ პლაჟზე, ლურჯად მოლივლივე ზღვის იდუმალებით მონუსხული. მახსოვს, ერთხელ კოლხეთზე ჩამოვუვდეთ საუბარი. თვალები გაუბრწყინდა. ჩემს გულთან საოცრად ახლოა სამეგრელო, გვითხრა. როგორც კი მომეცემა საშუალება, იქ ჩავდივარ ხოლმე. წარმოუდგენელია მუსიკოსს გული არ მოუწევდეს კუთხისკენ, რომელიც ასე შთაგონებით მღერის „ოდოიას“ და „ჩელას“, ჩონგურზე აწკრიალებს გულის დამწველ მელოდიებსო.

ამ სიტყვების დასტურია მისი შემოქმედება. როცა რევაზ ლაღიძის ღვთაებრივ მუსიკას უსმენ, შეუძლებელია არ შეიგრძნო ოდიშური ჰანგების სილბო და ჰაეროვნება. ეს არის დიდი ადამიანური სიხარულითა, თუ სევდით შთაგონებული ნაწარმოებები, რომელთა მოსმენის შემდეგ ერთიანად უფრო ამაღლებული და გაწმენდილი ხდები.

ბატონი რევაზ ცნობილი იყო, როგორც მეგობრობის, უღალატობის ჭეშმარიტი რაინდი. როგორც არავის, შეეძლო კოლეგის წარმატებით გახარება. მაგონდება ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ბატონი რევაზ და მისი თანამზრახველნი, როგორ მოადგებოდნენ ხოლმე იმხანად ვაკეში, ჩემს მეზობლად, მოსაშვილის ქუჩაზე მცხოვრები სულხან ცინცაძის ბინას სკანდირებული შეძახილით: „დემონ“, „დემონ“. ეს იყო ამაგე სახელწოდების ბალეტის პრემიერით გამოწვეული აღფრთოვანების გულწრფელი გამოხატულება.

მე არ გახლავართ მუსიკის მცოდნე, მაგრამ შინაგანი ინტუიციით ვხვდები, რომ რევაზ ლაღიძის სახით ქართველმა ერმა დაკარგა დიდი კომპოზიტორი. ზვდმიწევნით ინტიმური, უნატიფესი ინტონაციებიდან მან მოახერხა ამაღლება ფართო, ზოგადკაცობრიული თემების დამტევ მუსიკალურ ფორმებამდე. ოპერა „ლელას“ შექმნა ხელეწიფება მხოლოდ იმას, ვინც ადამიანთა ყოფის ყველა ფილოსოფიურ პარადოქსს არის ჩამწვდარი.

არსებობს ცვლადი და მუდმივი სიდიდეები. გაივლის დრო და ბატონ რევაზ ლაღიძის მუსიკა კიდევ უფრო ახალ ელვარებას შეიძენს და მარად შეასრულებს ახალი, თავისუფალი საქართველოს შემოქმედი ერის სულიერი აღორძინების წმიდათაწმიდა მისიას.

ზ. ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲡᲣᲤᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲔᲡ

ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების კეთილმოწყობის კომბინატი, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციაა. იგი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობასთან, წარმოება-დაწესებულებებთან და დებული ხელშეკრულების საფუძველზე ეწევა სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებას — დასუფთავებას. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქში, ინტერვიუ ვთხოვეთ კეთილმოწყობის კომბინატის უფროსს

Გ. ᲩᲐᲠᲒᲐᲖᲘᲐᲡ:

—წელიწადზე მეტია არ ფუნქციონირებს ცაცხვის ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელი, რა გამოიწვია ამან და რა ზომებია მიღებული ქალაქიდან ნარჩენების გატანის საქმეში?

Გ. Ч: სწორი ბრძანდებით. იმის გამო, რომ საკმაო ხანია არ ფუნქციონირებდა ცაცხვის ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელი, ქალაქიდან იგი გაგვქონდა ჯვარში, საბერიოში არსებულ ტერიტორიებზე, რაც იწვევდა შეფერხებებს, დაბრკოლებებს, გრაფიკის დარღვევებს და ანტისანიტარიას ქალაქად.

—სადღეისოდ?

Გ. Ч: სადღეისოდ, ადგილობრივ ხელძღვანელთა უშუალო ჩარევით და მთელი ძალების მობილიზებით გახსნილია ყოფილი ნაგავსაყრელი, სადაც ჩატარდა კოლოსალური სამუშაოები. 2500 კვადრატულ ფართზე დაიგო ასფალტი, მიმდინარეობს 2,5 კილომეტრზე მისასვლელი გზის მოშანდაკება, ელექტრო-გაყვანილობის აღდგენით სამუშაოები, ავტომანქანების სამრეცხაოს აღდგენა, შემოკავება.

—ვინ გაგიწიათ დახმარება აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარებაში?

Გ. Ч: „საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გადმოგვცა ექსკავატორი ნაგავის დასაკომპოსტებლად, მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და ექსპლოატაციის საწარმომ ორი ბულდოზერი—ნაგავის დამარხვა-დაშტაბელებისათვის. იხარჯება გარკვეული თანხა.

—ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე წესის დაცვის საქმეს სჭირდება სათანადო კადრები, არის კი მოგვარებული ეს საქმე და რა ევალებათ მათ.

Გ. Ч: ტერიტორია დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. მათი მოვალეობაა მიტანილი ნაგავის დამარხვა-დაკომბოსტება. გამოყოფილია ერთი „ᲓᲔ-ᲢᲔ-25“ მარკის ტრაქტორი, სათანადო შხამ-ქიმიკატები —ზერი ოდულად შეწამვლის, მოსხურების მიზნით.

—ხომ ქონდათ, ან ამჟამად ხომ არა აქვთ პრეტენზიები აქ მოსუშავე პერსონალს მოსახლეობიდან, წარმოებებიდან ე. წ. „შერეული“ ნაგავის მიღების გამო?.

Გ. Ч: ეს საკითხი მეტად მტკივნეულია. მოსახლეობის ნაწილმა ვერა და ვერ შეიგნო, რომ ნაგავს არ უნდა მიყვანდეს რკინა-კაკვული, საბურავები, ქაღალდი, რომ ეგი უნდა ჩაბარდეს მეორადი გადამუშავების ორგანიზაციებს.

—არის კი ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში, კვების ბლოკებში, კომუნალური მეურნეობის საცხოვრებელ სახლებში, სანეიდხადგურის და უბნის რწმუნებულების ნებართვით განლაგებული ნაგავსაყრელი ბუნკერები?

Გ. Ч: მოგახსენებთ რომ არა. ძირითადში ამას ხელი შეუშალა სოკოებიანით მომრავლებულმა ავტო-ეკ აქციამ. ბუნკერების გადანაცვლება იწვევს ქაოსსა და ანტისანიტარიას. მოსახლეობის ნაწილი ბუნკერებში კი არ უშვებს ნაგავს, არამედ ყრის იქვე მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ყოველად მიუღებელია და იწვევს სრულ ანტისანიტარიას.

—ნაგავის გატანის ტარიფები გაიზარდა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

Გ. Ч: დიახ, ნაგავის გაზიდვის ტარიფები გაიზარდა ერთი-ორად, რომლის ძირითად მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ტექნიკის საწვავ-საცხების, მარაგ-ნაწილები სათვის ფასების მომატება. აქვე მინდა განვმარტო, რომ ერთ ოჯახს წლიურად უწევს 54 მანეთის გადახდა, პენსიონერებს კი უნახევრდებათ აღნიშნული თანხა.

—როგორ იცავენ ნაგავის გატანის გრაფიკს?

Გ. Ч: ინდივიდუალური მოსახლეობიდან იგი გაგვაქვს თვეში ორჯერ წარმოება-დაწესებულებებიდან ყოველ მესამე დღეს, კომუნალური სახლებიდან 2-3 დღეში. საკოლმეურნეო ბაზარი სუფთავდება ყოველდღიურად.

—მოსახლეობის რაოდენ პროცენტს აქვს დადებული ხელშეკრულება და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს რა არხი გამოუძებნია მის გასატანად?

Გ. Ч: ამ შეკითხვის პირველ ნაწილზე შეძლება მოგახსენოთ, რომ ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 32 პროცენტს აქვს ხელშეკრულება დადებული, დანარჩენები კი ნაგავს ჩხოუშიისა და კუჩხობონუს ნაპირებზე ყრიან, გარემოს აბინძურებენ.

—გაქვთ თუ არა სათანადო ტექნიკა ქალაქისა და რაიონის მთლიანი მომსახურების უზრუნველყოფისათვის?

Გ. Ч: დღეისათვის მზადყოფნის მდგომარეობაშია შვიდი სპეციალური ავტომანქანა, უნდა გვქონდეს არანაკლებ 30-ისა, სარწყავი მანქანა 5-ის ნაცვლად 2-ია, ასენიზაციისათვის გვჭირდება 4 მანქანა, გვაქვს სამი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ გრაფიკების რეგულირებით გავართმევთ თავს მოვალეობას.

—როდის გაიხსნა ნაგავსაყრელი ტერიტორია და გრაფიკის მიხედვით რეგულარულად მიმდინარეობს თუ არა მისი გატანა?

Გ. Ч: ნაგავსაყრელი ცაცხვის სპეციალურ ტერიტორიაზე გაიხსნა 4 მაისს. მდგომარეობა თანდათან სწორდება.

—რა პრობლემების წინაშე დგახართ, რა არის მოსაგვარებელი?

Გ. Ч: პრობლემების მომიზეზებით ხელის ჩაქნევა არაა საქმისათვის სასარგებლო, პირიქით, დღეს როგორც არასოდეს უნდა ამოვუდგეთ გვერდით ერთმანეთს. უნდა ვიზრუნოთ ქალაქში სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგისათვის. მოვეფეროთ ყოველ ხესა და ბუჩქს, გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი და ჩვენვე ვაჩვენოთ მაგალითი სხვებს, სუფთა გარემო ჩვენვე უნდა გვაინტერესებდეს.

ესაუბრა Თ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲘᲭᲝᲜᲐᲘᲐ

გარდაიცვალა ჩვენი თანაქალაქელი, აფხაზეთის ასსრ ყოფილი ფინანსთა მინისტრი, სოციალისტური შრომის გმირი, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული ეკონომისტი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲘᲭᲝᲜᲐᲘᲐ.

იგი დაიბადა 1912 წელს. დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სხვადასხვა თანამდებობრივ პოსტებზე ყოფნის დროს მკაფიოდ ვლინდებოდა როგორც დიდი ეკონომისტისა და ორგანიზატორის ნიჭი და უნარი.

უმუშავნია ზუგდიდში რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ეს შესანიშნავი პიროვნება უდიდესი უურადღებით ეპყრობოდა ახალგაზრდა თაობის ბედს. მუდამ მზად იყო დახმარებოდა ადამიანებს.

დავით მიხეილის ძე მუდამ შემოქმედებით ძიებაში იყო უაღიდურესად მომთხოვნი საკუთარი თავისა და ხელქვეითების მიმართ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს მთავარ სპეციალისტად. მისთვის დამახასიათებელი იყო მრავალი, შესაშური ადამიანური თვისებები. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით. მათ შორის ვისაც მასთან უმუშავნია, ვინც მას იცნობდა. ზუგდიდი გამოეთხოვა თავის ღირსეულ შვილს, ქაცს დარბაისელს, უღალატოს, რომლისთვისაც არავითარ თანამდებობებს არ დაუჩრდილავს საკუთარი ადამიანური ბუნება.

ხსოვნა დავით მიხეილის ძისა დიდხანს შეშორჩება მის თანაქალაქელებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲐᲛᲐᲠᲐᲜᲢᲘ—ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ!

მინდვრის გაუფართოებლად მეცხოველეობისათვის საკვების ხიუხვის შექმნა ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის.

„საოცარი მცენარე“,—ასე უწოდებენ ამარანტს სპეციალისტები, რომელიც ექსპერიმენტის სახით 5 ჰექტარზე დაითესა ნარაზენის კოლმეურნეობაში.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ „საქაგროინფორმის“ მასალას აღნიშნულ კულტურაზე.

როგორც ცნობილია საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველი მეცხოველის ოცნების ასრულებაა მინდვრის გაუფართოებლად საკვების ხიუხვის შექმნა. აღნიშნული შესაძლებელია მაღალმოსავლიანი კულტურების შემოტანა-დანერგვით.

საქართველოში ახალშემოტანილია უნივერსალური მცენარე ამარანტი, რომელიც პირუტყვისათვის განკუთვნილ ყველა საკვებ კულტურას აღემატება მწვანე მასის მოსავლიანობით. იგი ჰექტარზე იძლევა 2500-3000 ცენტნერ მწვანე მასას და 60 ცენტნერამდე მარცვალს.

ეს საოცარი მცენარე 3—4 მეტრამდე სიმაღლის იზრდება, თითოეული 30-35 კილოგრამამდე მწვანე მასას, 1000-მდე ფოთოლს 100000-მდე თესლს იძლევა, მას არცერთი მავნებელი —დაავადება არ ეკარება, ადვილად ეგუება ყოველგვარ გარემო პირობებს და მოპყავთ იქ, სადაც სხვა კულტურა არ ხარობს, არის უაღრესად გვალვაგამძლე, საჭერ ნაკლებ წყალს ხარჯავს, ვიდრე პარკოსნები, ორჭერ ნაკლებს ვიდრე მარცვლოვნები, (წელიწადში სამჯერ ითიბება), საუკეთესო საკვებია მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის, ფრინველისთვის და განსაკუთრებით მომგებიანია ღორისათვის. მისგან დამზადებული ხილოსი სორგოსა და სიმინდზე უფრო უუათიანია. იგი იძლევა 40 პროცენტამდე კომბინირებული საკვების ეკონომიას. ამ საკვებით გამოკვებილი გოჭების წონამატი დღეღამეში 450 გრამს აღწევს. ამარანტით შეგვიძლია ყოველგვარი პირუტყვი გამოკვებოთ კომბინირებული საკვების გარეშე.

ამარანტის მარცვლისგან მზადდება ზეთი, რომელიც 29 დასახელების სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად გამოიყენება. ერთი კილოგრამი ამარანტის ზეთის ღირებულებაა 97 დოლარი. ამ მცენარის ერთი ჰექტარი ნათესი კი 90000 მანეთ მოგებას იძლევა.

ამდენად მეურნეობათა ხელმძღვანელების და სპეციალისტების ამარანტით დაუინტერესებლობა იმას ნიშნავს, რომ ხელიდან გავუშვით პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა.

ამარანტის გავრცელების, მისი მოვლა-მოყვანისა და რაციონალურად გამოყენების საკითხებს ეძღვნება რესპუბლიკური სემინარი, რომელიც გათვალისწინებულია ჩატარდეს მიმდინარე წლის 26 ივლისს სიღნაღის რაიონის წნორის მეცხოველეობის კომპლექსში, სადაც მსმენელებს საშუალება ექნებათ ადგილზე გაეცნონ ამ კულტურას და მიიღონ კონსულტაციები და ყველა ის მასალა, რაც „საუცილოა“ ელია ამარანტის კულტურის მოვლა-მოყვანისათვის.

Ი. ᲓᲕᲐᲚᲘ,
საქაგროინფორმის დირექტორი.

Უ. ᲯᲘᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ᲛᲔᲝᲠᲔᲚ ᲭᲙᲐᲓᲣᲐᲨᲘ...

1 ივნისს—ბავშვთა დაცვის დღეს, ქალაქ ზუგდიდის ქალთა საბჭოს მდივნის ქეთინო მიქავას ინიციატივით, მეორედ ვეწვიეთ ჭკადუაშში მყოფ მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახთა წარმომადგენლებს.

სიმბოლური იყო ქალბატონ ნანა მელაშვილისათვის ბავშვის შეძენის მილოცვების ცერემონიალი. პატარა თამთასათვის საბავშვო ეტლი და ფულადი საჩუქრები გადასცეს დედას ქეთინო მიქავამ, ბავშვთა პოლიკლინიკის ექთანთა საბჭოს თავმჯდომარემ მანანა ესართიამ, პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ მაკა მარშანიამ. სვეტლანა და ვალერი ფანცულაიებმა შვილის სახელით პატარას საჩუქრად გადასცეს 500 მანეთი.

ამავე დღეს აქ ქალაქის № 19 საბავშვო ბაღის (გამგე ლ. მიქავა, პედაგოგი ვ. ხუფენია) აღსაზრდელებმა გამართეს კონცერტი და თანატოლ ბავშვებს გადასცეს საჩუქრები.

საავტომაქო სამმართველოს უფროსმა ზაირა თორდიამ კვლავინდებურად უსასყიდლოდ გადასცა მათ წამლები დიდი რაოდენობით და დაპირდა საჭიროების შემთხვევაში კვლავაც მზად იქნებიან დ ხმარებისათვის.

ქალთა საბჭოს მდივნის ვულისხმიერი და გულთბილი დამოკიდებულება დაზარალებულთადმი ჩვენც გადმოგვეფოლტაგმირისტური განწყობით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

Რ. ᲛᲘᲥᲐᲕᲐ.

აბორტი და მისი გართულებანი

აბორტი არის ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა. იგი ორი სახისაა: თვითნებური და ხელოვნური.

თვითნებური აბორტი ორსულობის არაწინასწარგანზრახული შეწყვეტაა, რომელიც ხდება ორსულის სურვილის წინააღმდეგ, რაიმე ჩარევის გარეშე. თვითნებური აბორტი შემდეგი სახისაა: მოსალოდნელი, დაწყებითი, მიმდინარე, დაუმთავრებელი და სრული.

მოსალოდნელი აბორტისათვის დამახასიათებელია ტკივილი წელისა და მუცლის ქვედა არეში. ამას ემატება სისხლიანი გამონადენი საშოდან. აბორტის დასაწყის სტადიაშია განაყოფიერებული კვერცხუჯრედისა და დედის ორგანიზმის კავშირი დარღვეულია უმნიშვნელოდ. ამ შემთხვევაში ორსულობის შენარჩუნება შესაძლებელია, თუკი ორსულმა დაიცვა განსაკუთრებული რეჟიმი და ექიმის რჩევით სათანადო მკურნალობა ჩაიტარა. მიმდინარე აბორტის დროს კი ტკივილები და სისხლიანი გამონადენი ძლიერდება, საშვილოსნოს ყელი იხსნება. ამ დროს ორსულობის შენარჩუნება შეუძლებელია და თერაპია მიმართულია სისხლდენის სასწრაფოდ შეჩერებაზე, რაც ხორციელდება საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკით.

აბორტის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს არმომზდარი აბორტი. ამ დროს ნაყოფი იღუპება, მაგრამ არ ხდება მისი გამოძევება საშვილოსნოს მიერ. ამას მოსდევს ნაყოფის ჩაკირვა-რეკალციფიკაცია —თრომბოძასცინების გადასვლა სისხლში, ჰიპოფიბრინოგენემია—სისხლის შედედების ქვეითება. ამ დროს ქალი შეიძლება დაიღუპოს სისხლდენის გამო.

ხელოვნური აბორტი—ეს არის ოპერაცია, როდესაც ხდება საშვილოსნოს ყელის მექანიკური გაგანიერება, შემდგომში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მოცილება და საშვილოსნოს ღრუდან გამოტანა.

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა დასაშვებია 12 კვირის ვადამდე. ოთხეტი კვირის შემდეგ ორსულობის შეწყვეტის საკითხი წყდება კომისიური წესით.

ოფიციალური აბორტის დროს ქალი იღებს სათანადო ანალიზებს და მომართვას, რის შემდეგ ხდება აბორტის წარმოება გინეკოლოგიურ სტაციონარში. იმ შემთხვევაში, თუ ქალს არა აქვს შომართვა შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევებით და აბორტი კეთდება გინეკოლოგიურ სტაციონარში, რომელსაც აწარმოებს ექიმი, აბორტის მწარმოებელი ისჯება ადმინისტრაციული სასჯელით, სამსახურიდან განთავისუფლებითაც კი. ყველა სხვა ადგილას გაკეთებული აბორტი ითვლება კრიმინალურად და აბორტის მწარმოებლები ისჯებიან სისხლის სამართლის კოდექსით.

აბორტის წარმოების წინ უნდა ჩატარდეს ლაბორატორიული გამოკვლევები: 1) სისხლის საერთო ანალიზი, რომ გამოირიცხოს ანემია ან სისხლის რაიმე სხვა დაავადება, ანთებითი პროცესი და სხვა; 2) საშოს ნაცხის ანალიზი, რათა აბორტის წარმოების შემდეგ არ მოხდეს ალმავალი ინფექციის განვითარება; 3) შარდის საერთო ანალიზი, რომ დადგენილ იქნეს საშარდე გზების დაავადება და ინფექციური ჰეპატიტი. 4) ქალი გამოკვლეულ უნდა იყოს შიდსზე, ვასერმანის რეაქციაზე, რათა არ მოხდეს ისეთი საშიში ინფექციების გავრცელება, როგორიცა შიდსი, ათაშანგი. ქალები ხშირად თავს არიდებენ ამ გამოკვლევების ჩატარებას და ეძებენ იმ გზებს, რომლებიც მათ გაუადვილებთ აბორტის წარმოებას. ასეთი გამოუკვლეელი ქალები საშიშროებას უქმნიან საკუთარ თავს და მთელ ოჯახს, ხოლო ექიმები, რომლებიც აწარმოებენ არაკანონიერ და კრიმინალურ აბორტს, პასუხისმგებელნი არიან სამედიცინო ეთიკისა და ერის წინაშე.

აბორტის წარმოებას მოსდევს მთელი რიგი გართულებანი, როგორიცაა საშვილოსნოს კედლის მთლიანობის დარღვევა, სისხლდენა, ალმავალი ინფექციის განვითარება.

იმისათვის, რომ არ მოხდეს არა სასურველი ორსულობა ქალებმა უნდა მიმართონ ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს—მექანიკურ, ქიმიურ, ჰორმონალურ საშუალებებს, რითმულ მეთოდს. თითოეული ამ მეთოდის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად ექიმის მიერ. ერთ ერთ ყველაზე მარტივ, თუმცა ნაკლებეფექტურ მეთოდს წარმოადგენს რითმული (კალენდარული მეთოდი, ტემპერატურული მეთოდი, შეწყვეტილი სქესობრივი კავშირი).

ტემპერატურული მეთოდის დროს ქალი ყოველდღიურად იზომავს საზაღვარ ტემპერატურას (სწორ ნაწლავში ან წუთის განმავლობაში). დილით ადგომამდე. ნორმალური მენსტრუაციული ციკლის დროს. ციკლის მეორე ნახევარში (მე-13, მე-14 დღიდან) ხდება ტემპერატურის მომატება 0,2—0,6 გრადუსი ცელსიუსი. ეს პიკი შეესაბამება მომზდარ ოვულაციას (მომწიფებული კვერცხუჯრედის გამოსვლა საკვერცხედან). ამ მეთოდის შესაბამისად ქალმა ექვსი თვის მანძილზე უნდა განსაზღვროს საზაღვარი ტემპერატურის პიკის დრო (ვთქვათ ციკლის მე-12 დღე), შემდეგ ამ რიცხვს გამოაკლოს 6 (12 მინუს 6 უდრის ექვსს) და მიუმატოს 4 (12 პლიუს 4 უდრის 16). ამ მონაკვეთში დაორსულება ყველაზე უფრო მოსალოდნელია, ამიტომ შესაბამისად უნდა მოხდეს სქესობრივი კავშირისაგან თავის შეკავება.

ჩასახვის საწინააღმდეგო ღონისძიებების შერჩევა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ექიმის მიერ.

ბ. სიხარულიძე,
სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის ზუგდიდის ზონის კურატორი.

დ. ნადარაია,
მეან-გინეკოლოგი.

ჩვენვე მივსდოთ...

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი ეს ისეთი ადგილია, რომელიც თანაბრად სჭირდება სტუმარსა და მასპინძელს.

გაიხარა ზუგდიდმა ახალი შენობის აგებით, ვრცელი დარბაზები დაეთმო განყოფილებებს, მაგრამ... სუნთქვა სჭირს ტელეფონებით მომსახურების დარბაზში. იგი დაულაგებელი და მოუვლელია. ამას ემატება სიგრძეზე გაწოლილი [illegible] (ზოგი მოხეტიალე [illegible] ხებიდან პატრონს დადევნებულების) ნებივრობა შესასვლელ ვესტიბიულში და წარმოიდგინეთ დარბაზშიც კი.

სირცხვილია, ჩვენვე უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს...

მ. ბუცხრიკიძე.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ყველა ასაკის და პროფესიის მოქალაქეებს გიწვევთ საზღვარგარეთ სამუშაოდ.

თუ გაქვთ ასეთი სურვილი მობრძანდით, შეიძინეთ კონტრაქტი. მისამართი: ზალენჯიხის რაიონი, ჯვარზენი, ავტოსადგურის შენობაში.

ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კომერციული, სპორტული კოოპერატივი „ილბალი", ყოველ კვირა დღეს, გიწვევთ ასპარეზობაზე, სპორტულ მოკლე ნარდში.

შეჯიბრება ჩატარდება 6 ტურად, ნარდის საერთაშორისო წესებით, ოლიმპიური სისტემით. ყოველ ტურში გამსვლელი ქულა —3, დამარცხებულები ეთიშებიან ასპარეზობას. დაწესებულია პრიზები:

პირველი ადგილი 6000 (ექვსიათასი) მანეთი.

მეორე ადგილი 3000 (სამი ათასი) მანეთი.

მესამე ადგილი 2000 (ორი ათასი) მანეთი.

მეოთხე ადგილი 1000 (ათასი) მანეთი.

გარდა ამისა ოთხივე პრიზიორი მომდევნო ტურნირზე დაიშვებიან, მონაწილეობისათვის შესატანი თანხის, (300 მანეთი), გადახდის გარეშე.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია (64 მონაწილე).

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე, მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №29. ქალაქ ზუგდიდის სპორტსკოლა. ტურნირის ხანგრძლივობა 4-5 საათი.

კოოპერატივის გამგეობა.

ბიძია მოკო. ბიცოლები: თამარა, ნუცა ხასაიები შვილებით გენო. ალიკო. ვახტანგი. ბადრი. ციური. გული. თინა. ლიანა. მარინა. მერი. ედემი. გურამი. ნანო. რამიკო. რიზიკი. ელდარი, ემირი. ჯანიკო ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილს

იგორი კირილეს ძე გოძილანძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ანიკო, მადონა, მზია, ლოთი ჭურღულიები, ძმა რადიონი, და ვენია ეხვაიები. **რძლები:** ამალი მესხია, ოლია ქანთარია, სიძეები ვალიკო ბერულავა, ლუდა შანავა, ლოთი კორკელია, **ძმისშვილები:** ნანული, ლამარა ეხვაიები. **შვილიშვილები,** ბიძაშვილები, ახლო ნათესავები, იუწყებიან

ლუბა ჯამუს ასულ ეხვაია-ჭურღულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ივლისს. დაკრძალვა 11 ივლისს სოფ. ოდიშში.

ლედა ლუცა. მეუღლე ლეონიზა, **შვილები:** ალბა. თატიმა, **ძმები:** ალეკო, გურამი. ჯუმბერი. კორნელი. ვაგნერი. **სიძე** ნუკრი შამათავა. **რძლები:** ნელი, თამარი, ციცანა, ზაირა. **მიმოზა.** ლედა მინა ხასაია. **ბიძა** მოკო ხასაია, **ძმისშვილები** რევაზ, რენო, ლერი, ნატო. გია, ნანა. გელა. ჯემალი. დალი. იური. ეკა. ემა, ლარისა, მარინა. ირმა. ლელა, ლალი. გენიოზი. თეა. **ბიძაშვილები:** ბუტუტი, რეზო. ინგიშერი. ჩვათი. ნაზო გოძილანძეები, სიდერორი კატუშა. **მზახლები** ინეზა. არდაშელ შამათავები, ცოლის ოჯახი: მარგო. ეუჟენ. სოლიკო. ნაზო. მიმოზა. **ცოლისძმები:** პალიკო, გენო, ბაჩი კოკაევები. **ბიძაშვილები,** დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

იგორ კირილეს ძე გოძილანძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 11 ივლისს ქ. ზუგდიდი, ლომოურის პირველი შესახვევი 4.

შვილები: ნენუ, კატია, ოთარი, და ბუბცა შარია, **რძლები** თინა, კვირიელია, ოლია კაკაბაძე. ლუარა თაქავა, **სიძეები:** ვახტანგ ხოშტარია, მამუკა ძანძავა, მაზლი კაპიტონი, **მულები:** ლილი, მარგო. **შვილიშვილები:** ნონა, ნანა, ბესიკი ჯღარკავები. ნინო, დათო ხოშტარიები, **ძმისშვილები:** ვანიჩქა. გუჩა. ვაჟიკო შონიები ბუჟღუ. შურა. ლუბური ქორთუშვილები. **დისშვილები:** ეკა. ვალია, მიტუშა. **რეზო** ხაბურზანიები, **მაზლიშვილები:** ტარიელი, თამაზ ჯღარავები, **მულიშვილები:** ტატიანა, ცაციკო. ლეშკო. ბიდიკო ჭითანავები, ლორა ნარმანია, **მზახალი** შურა დადიანი-ხოშტარია, **ბიძაშვილები:** ვენერა, ოლია. ქვაცი შონიები. **დეიდაშვილი** ვანიჩქა სექანია ოიუწყებიან

სონიჩქა ძვაძვალას ასულ შონია - ჯღარკავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12 ივლისს. დაკრძალვა 13 ივლისს. გამოსვენება ზუგდიდი, ჯავახიშვილის ქ. 5-დან 17 საათზე.

შვილები: ნენო, ალიკო. ბადრი. ციური. გული. თინა. ლიანა. მარინა. მერი. ედემი. გურამი. ნაზო. რამიკო. რიზიკი. ელდარი, ემირი. ჯანიკო ოჯახებით იუწყებიან **მამიდაშვილს**

იგორი კირილეს ძე გოძილანძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბიძია ბადრი. **ბიცოლები:** თამარა, ნელი, **შვილები:** ნანული. ჯამბული. **დები:** მარგო, ნათელა ივარდავები, **რძლები** ფატმა ქებურია, მარგო ცხადაია, დოდო ხვიჩია, **სიძეები** ჯემალ კაცია. ზალიკო მესხია, **შვილიშვილები:** დათო, ელისო, მაკა. მირანდა. **დისშვილები:** ლუიზა. ნუნუ სართანიები, ვოვა, საშა მესხიები, ოთარი, ილდარ შენგელაიები, **ბიძაშვილები** ნელი, ლათუშა, იზოლდა, ზაირა ივარდავები, ოლია. ლავრენტი ქვარცხავები, **მამიდაშვილები:** ძაბა. ნაბო, ანიკო კუხალეიშვილები, **მაზლიშვილები:** ბაბუცა, წესა. გვანჯი. გოგოლა, კოკორი, ვენი. დუნა. ეთერ ვეკუები, **მულიშვილები:** ნათია, მირი ჭითანავები ახლო ნათესავებით იუწყებიან

ტატიანა გრიგოლის ასულ ივარდავა-ვეკუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ივლისს. დაკრძალვა 11 ივლისს ს. რიყეში.

ბიძია ნელი, **შვილი** ნათია, **დები:** მარინა, ზოია. ძმა კაკო. ბებია ჟენია. **რძალი** ნონა. **სიძეები:** რევაზ სართანია, გრიმიტონ ზარანდია, **დეიდები** ლიდია. დუნია. **მამიდა** შურა. **ბიძები:** დურუ. ბესო ფარცვანიები. ეორეი გვასალია. ორდე. ჯემიკო კონჯარიები, ჭიჭიკო ზარანდია, ბოჩო კეკელია, **ბიცოლები:** ნორა, ქრაკვაშა, ნაზო ფარცვანიები, ეკა, ლენტუშა კონჯარიები, **ძმისშვილები,** ბიძაშვილები, **დეიდაშვილები,** მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

იზო ვანიჩქას ასულ ფარცვანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ივლისს. დაკრძალვა 11 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ლომონოსოვის ქ. 27, 5 საათზე. დასათვალიერება სოფ. ოდიშის სასაფლაოზე.

ბიძია ალეკო. **ბიცოლები:** ნელი, მარგო. **ძმა** დავითი, **დისშვილები:** ეური, გიორგი, ციალა ჭანტურიები გელაში, ნოდარი, გივი, ლიანა ემუხვარები. **ძმისშვილები:** ირმა. მარიხა ქაცებაიები, **სიძეები:** გიული ანჩაბაძე, ბურამ ლობანიძე. **რეზო** თათეიშვილი, გია ქიქავა. **შოთა** გოგოხია, **რძლები:** მედიკო მეტრეველი, გულნაზ ბასარია, **დოდო** ჯიკონაია, **ნონა** ჩემინავა. **ბიძაშვილები,** დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კონსტანტინე (ვანჯი) თომას ძე ქაცებაია.

დაკრძალვა 9 ივლისს ს. დარჩელში.

ბიძია ალეკო. **ბიცოლები:** თამარა, ნუცა ხასაიები **შვილებით** გენო. ალიკო. ვახტანგი. ბადრი. ციური. გული. თინა. ლიანა. მარინა. მერი. ედემი. გურამი. ნაზო. რამიკო. რიზიკი. ელდარი, ემირი. ჯანიკო ოჯახებით იუწყებიან **მამიდაშვილს**

იგორი კირილეს ძე გოძილანძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბიძია ალეკო. **ბიცოლები:** ნელი, **ბიძაშვილები:** ეური, ომიანე ალმაშვილები, პატიკო ხინკლაძე, ვალიკო ბეშვაია, გიგლა ზარანდია, ერეველოდი როდონაია, ბიცოლები ნელი, იზო. ციცო. ნათელა. მოკონა, ვარდო. სიდერორი კატუშა, ცოლისძმები: მანანა. იზო. მედიკო. მზია. **ცოლისძმები:** ჯემალი. ინდიკო. ხვიჩა. **დეიდაშვილები,** ბიძაშვილები. **მამიდაშვილები** და ახლო ნათესავები იუწყებიან

მამუკა (ლუსიანი) შალვას ძე ქადარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 ივლისს. დაკრძალვა 13 ივლისს. ახალბასთუმანში.

ბიძია ალეკო. **ბიცოლები:** ნელი, **ბიძაშვილები:** ეური, ომიანე ალმაშვილები, პატიკო ხინკლაძე, ვალიკო ბეშვაია, გიგლა ზარანდია, ერეველოდი როდონაია, ბიცოლები ნელი, იზო. ციცო. ნათელა. მოკონა, ვარდო. სიდერორი კატუშა, ცოლისძმები: მანანა. იზო. მედიკო. მზია. **ცოლისძმები:** ჯემალი. ინდიკო. ხვიჩა. **დეიდაშვილები,** ბიძაშვილები. **მამიდაშვილები** და ახლო ნათესავები იუწყებიან

ეუფემია ძაკუს ასულ გაბისონიას

გარდაცვალებას.

შვილები: მზია, ნატო. გულადი, ნუგეში, და თამარა, **ძმა** ჩოხო, **რძლები** გარდო ღვინჯილია. ქეთინო შონია. თამილა ჭედია. **შვილიშვილები:** ბელა. გელა. გოდერძი გაბელაიები, მაკა. მალხაზი. მაცი. მედეა. გიორგი კარტოზიები, სალომე, დიმა. ჯაბა **მესხები,** ალიკა ანთია, **დისშვილები:** ნათელა. თალიკო. ლეონტი ნადარაიები. სულიკო. რეზო. ბორისი დარასელიები. **ძმისშვილები** ნინო, ბებური ბესიკი **მესხები,** **სიძეები** შუხუზი გაბელია, გურამი კარტოზია, ოთარი ართია, **მზახლები:** ალელინა შოთა ჭედიები, ალოლონი შონია. **დეიდაშვილები** თაშუ, სარდიონი ხაბურზანიები, ბაშა მურღულია. **ბიძაშვილები:** თამარა, ანუშკა. ალთანდილი, ამერანი ქადარიები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

სევერიანე დიმიტრის ძე მესხის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12 ივლისს. დაკრძალვა 13 ივლისს სოფ. ჭითაწყარში.

ბიძია ნელი, **შვილი** ნათია, **დები:** მარინა, ზოია. **ძმა** კაკო. ბებია ჟენია. **რძალი** ნონა. **სიძეები:** რევაზ სართანია, გრიმიტონ ზარანდია, **დეიდები** ლიდია. დუნია. **მამიდა** შურა. **ბიძები:** დურუ. ბესო ფარცვანიები. ეორეი გვასალია. ორდე. ჯემიკო კონჯარიები, ჭიჭიკო ზარანდია, ბოჩო კეკელია, **ბიცოლები:** ნორა, ქრაკვაშა, ნაზო ფარცვანიები, ეკა, ლენტუშა კონჯარიები, **ძმისშვილები,** ბიძაშვილები, **დეიდაშვილები,** მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

იზო ვანიჩქას ასულ ფარცვანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ივლისს. დაკრძალვა 11 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ლომონოსოვის ქ. 27, 5 საათზე. დასათვალიერება სოფ. ოდიშის სასაფლაოზე.

ბიძია ალეკო. **ბიცოლები:** ნელი, **ბიძაშვილები:** ეური, ომიანე ალმაშვილები, პატიკო ხინკლაძე, ვალიკო ბეშვაია, გიგლა ზარანდია, ერეველოდი როდონაია, ბიცოლები ნელი, იზო. ციცო. ნათელა. მოკონა, ვარდო. სიდერორი კატუშა, ცოლისძმები: მანანა. იზო. მედიკო. მზია. **ცოლისძმები:** ჯემალი. ინდიკო. ხვიჩა. **დეიდაშვილები,** ბიძაშვილები. **მამიდაშვილები** და ახლო ნათესავები იუწყებიან

ეკატერინა ალეკოს ასულ ბაბუცა

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 ივლისს. დაკრძალვა 11 ივლისს ს. ბაბუცა.

ინდექსი 61507 რედაქციის მისამართი ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80. რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №2799